საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მალაზონია ნოდარ ვლადიმერის ძე



ნ. მალაზონია

მალაზონია ნოდარ ვლადიმერის ძე (დ. 27. IV. 1929, ოზურგეთი), მხატვარი (გრაფიკოსი). საქართვ. სახ. მხატვარი (1983). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკ-ტი (1955). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1956-იდან. მუშაობს დაზგურ და წიგნის გრაფიკაში, არის ქართული პლაკატის თვალსაჩინო ოსტატი. 1967 მისი ინიციატივით თბილისში, „მხატვრის კლუბში“ მოეწყო ქართველ მხატვართა პლაკატების პირველი გამოფენა. ნამუშევრები: პლაკატი იუნესკოს მრგვალი მაგიდისათვის (1962), საიუბილეო პლაკატები: „შოთა რუსთაველი – 800“ (1966) და „სანდრო ახმეტელი – 100“ (1979), სერია ინტურისტისათვის (1979–82), პანტომიმის თეატრის აფიშა (1982) და სხვ; დაზგური გრაფიკა: ფერადი ლითოგრაფიები – „ჩემი სოფლის სურათები“ (1969), „საბჭოთა კარიკატურის ოსტატები“ (1969), „წარსულის სურათები“ (1971), „1941–45 წელი“ (1975) და სხვ.; წიგნის გრაფიკა:
ნ. დუმბაძე, თხზ., ტ. 1–2 (რუს. ენაზე, 1986), ალბომი-კატალოგი „ციცინათელა“ (1970) და სხვ.; ფერწერა: „სანაპირო, სტამბოლი“ (1960), სერია „გზები“ (1962), „ღრუბლები“ (1981) და სხვ. გამოფენები: „საბჭოთა წიგნის, პლაკატის, გრაფიკის 40 წელი“ (1957, მოსკოვი), „ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა“ (1958, მოსკოვი), „ქართული საბჭოთა პლაკატი და რეკლამა“ (1961, თბილისი), „საბჭოთა ხელოვნება` (1963, ვენეცია), „პოლიტიკური პლაკატი და სატირა` (1974, მოსკოვი) და სხვ.; მისი პერსონალური გამოფენა ჩატარდა თბილისში (მხატვრის სახლი, 1983; „თეატრი და კინოს პლაკატი“, 1985; ქარვასლა – ფერწერა, გრაფიკა, ფოტო, პლაკატი, 2004), ინსბრუკში

(1981, ავსტრია), კატმანდუში (1984, ნეპალი), მოსკოვში („ფოტოგრაფია და ფოტოგრაფიკა“, 1987). დაჯილდოვდა პრემიებით 1959 ბერლინში გამართულ პოლიტ. პლაკატების საერთაშ. გამოფენაზე და თბილისში რესპ. კონკურსზე – „დავიცვათ კულტურის ძეგლები“ (1959); აგრეთვე მიღებული აქვს კატანიის (იტალია) ევროპა-აფრიკა-აზიის ტურისტული პლაკატების XII საერთაშ. გამოფენაზე (წარმოდგენილი იყო 800-ზე მეტი პლაკატი 108 ქვეყნიდან) პლაკატების სერიისათვის –„გეპატიჟებათ საბჭოთა საქართველო“ – ორი უმაღლესი პრიზი სპეციალისტებისგან – „ოქროს სპილო“ და მაყურებლებისგან – ვერცხლის მედალი (1979). 1957–87 იყო ჟურნ. „ნიანგის“ მთ. მხატვარი. 1987 ჩამოაყალიბა სარეკლამო-საგამომცემლო ფირმა „ბენეფისი“, რ-საც ხელმძღვანელობდა 2008-მდე. XX ს. 90-იან წლებში (ბ. მალაზონიასთან ერთად) იყო ქართული ლარის, პასპორტის, პირადობის მოწმობის, ქართული თეთრის (რევერსი) დიზაინის ავტორი. მ-ს ნაწარმოებები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. საქართვ. ეროვნ. გალერეაში.

თ. გერსამია